

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

მე-6 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა გამოყენებული წინადადებაში: „ქუჩაში ერთხელ წაიქცა ბავშვი...“
ა) ორი ბ) სამი გ) ხუთი
2. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა წინადადებაში: „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ...“
ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი
3. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული შესიტყვება წინადადებაში: „კუთილ კაცს წყალობა არასდროს მოაკლდება...“
ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
4. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
„მე კი მგონია, ფრესკებზე ყრმა რომ ზის დედის კალთაში,
თუ „დედა ენას“ მიუტან დიდივით კრძალვით გადაშლილს...“
ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
5. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული ნაცვალსახელი წინადადებაში:
„შენმა სურვილმა დამლია, შენზედ ფიქრმა და ღბენამა...“
ა) მოთხრობითში ბ) ვითარებითში გ) მოქმედებითში
6. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „დავითი აფასებდა ქართულ ადათებს, უვლიდა ვაზსაც.“
ა) ჩვეულება ბ) ცეკვას გ) სიმღერას
7. რომელია ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „კაცი ბრძენი არ გაწირავს მოყვარესა მოყვარულსა.“
ა) ვაჟი ბ) ბიჭი გ) ადამიანი
8. რომელი არ არის ხაზგასმული სიტყვის სინონიმი: „ქარში თმა სულ აბურმგვნოდა.“
ა) აჩეჩილი ბ) ბინძური გ) აშლილი
9. რომელია ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი: „ცელქმა სიომ ჩამოირბინა, მერე აგრილდა ნელ-ნელა.“
ა) დათბა ბ) გაწვიმდა გ) გამხიარულდა
10. რომელია ხაზგასმული სიტყვის ანტონიმი: „პაპა გულუხვი იყო, ამიტომ ყველას უყვარდა.“
ა) ხელგაშლილი ბ) მუნწი გ) გულკეთილი
11. ზმნა არის :
ა) ფორმაცვალეზადი მეტყველების ნაწილი.
ბ) ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი.
გ) დამხმარე მეტყველების ნაწილი.
12. რამდენპირიანია ზმნა „გაუწოდა“:
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
13. რომელი დროის ზმნაა გამოყენებული წინადადებაში: „ზღვის სიღრმეში ერთი თევზი-ჯამბაზი ცხოვრობდა.“
ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი
14. რომელი დროის ზმნაა გამოყენებული წინადადებაში: „შევწყვეტ შენს დაცინვას და საქმეს მოვკიდებ ხელს.“
ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) მომავალი
15. რომელია ზმნისწინიანი ზმნა?
ა) შეუკვეთა ბ) კითხულობს გ) ქრის
16. რომელია უზმნისწინო ზმნა?
ა) წაიმღერა ბ) თრთის გ) გამონათა

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. რომელია არასწორად დაწერილი?

ა) ბაქია კურდღელი.

ბ) ნამდვილ ნატვრისთვალს.

გ) კეთილი ჯადოქრად.

32. არასწორად დაწერილი წინადადებაა:

ა) დავითს ყველა შინაური ცხოველი ჰყავს: ძაღლი, კატა, ცხვარი, ღორი...

ბ) მეფეო ვინ გასწავლა ნადავლის ეგრე გაყოფა?

გ) გვეყოფა, გვეყოფა ჩხუბი და კამათი-მეთქი!

33. „ზურგი უჩვენა“ ანუ

ა) დაეხმარა

ბ) ზურგით მიეყრდნო

გ) შეეშინდა და გაიქცა

34. „გოჯი“ ანუ

ა) ღორი

ბ) ჯოხი

გ) საზომი ერთეული

35. „ცისკარი“ ანუ

ა) ცა

ბ) ცისფერი

გ) განთიადი